პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

კომუნისტი

[illegible]

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. ც. კ. სრ. და
მაკრ. ცენტ. ხაზ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 14, მეორე სართული

რედაქტორის მიღება საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 9-დან 10 საათამდე

ტელეფონები: 14—76. რედაქტორის. 10—68. მდივნის.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პრ. № 24.
შესვლა 10—12.

წლიური ხელმოწერის თვიური ფასი: მუშა-მოსამსახურეებისათვის 65 კ. დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—95 კ. განცხადებები: 20 კ. სტრიქონი. მომხმარებლის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 5 მ. ჩვრ. განცხადება მოწმობის დაკარგვის შესახებ—20 კ. გამოცხადებულ განცხადებებს—ფასდაკლება 15 პროც. ნომერში მიიღება მხოლოდ 4 ... ...

№ 125 (980) სამშაბათი, 3 ივნისი 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კაპ. (500 მილ.)

№ 125 (980)

დღიური

მოელიან თიბადების „მუშათა მთავრობის" გადადგომას.

დანიის ახალი პრემიერ-მინისტრი სტაუნინგი

ინგლისში მოწვეული იმისათვის შეადგენს [illegible] ხსაგებს.

ამერიკის ხუთთანხმი ხაზინის ფულის გაძლიერებულად გაადიდა ახალი თანხები.

იაპონიაში იზრდება უკმაყოფილება ამერიკით.

ყრილობის შედეგები

მაისს დამთავრა თავისი მუშაობა რუსეთის კომპარტიის XIII ყრილობამ.

ერთხელ მოგვეხდება შევეხოთ ყრილობის დადგენილებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს პოლიტიკას და საქმიანობას მთელი წლის განმავლობაში.

დღეს გვინდა შევჩერდეთ მისი ზოგიერთ მომენტებსა და შედეგებზე. მთავარი მომენტი პოლიტიკური თვალსაზრისით იყო ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და ყრილობის დამოკიდებულება მისდამი.

ერთ წელიწადზე მეტია, რაც ცენტრალური კომიტეტი ხელმძღვანელობს პარტიას და ქვეყანას ულენინოდ. ამ ხნის განმავლობაში მეტად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ჩვენ პარტიაში, საშინაო საერთაშორისო მუშათა კლასის და მთელი მშრომელი მასსის სულიერი განწყობილება საერთაშორისო მდგომარეობაში [illegible] თუ არა თავი ამ მოვლენებს პარტიის უმაღლესმა ხელმძღვანელ ორგანომ, ატარებდა თუ არა ის სწორ ხაზს, მტკიცედ იცავდა თუ არა ბოლშევიზმის პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პრინციპებს,—აი, საკითხი, რომლებზედაც პასუხი უნდა ეძლია ყრილობას.

გვახსოვს', რომ პარტიამ გამოიარა დისკუსიის ცეცხლის ცხელების [illegible] და ხანგრძლივი პერიოდი.

ვინ იყო მართალი განვლილ საპარტიო ბრძოლაში—ცეკა მისი აბსოლიუტური უმრავლესობით, თუ ოპოზიცია,—ამ კითხვაზე გარკვეული და გადაჭრილი დადგენილება გამოიტანა პარტიის მეცამეტე კონფერენციამ, რომელმაც განაცხადა, რომ სწორია ცეკა, ლენინის ერთგული მოწაფეების, პოლიტიკა, ხოლო ოპოზიცია არის წვრილ ბურჟუაზიული გადახრის გამოხატულება, რომელსაც ცეკა გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა.

მაგრამ საჭირო იყო თვით ყრილობას გადაეხედა ეს საკითხი თავის მხრივ და გამოეტანა მასზე [illegible].

ყრილობამ ერთხმად აღიარა ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის სწორე და სავსებით მოიწონა ის, რაც დაადასტურა XIII პარტკონფერენციის რეზოლიუცია პარტიული დისკუსიის შედეგების წვრილ-ბურჟუაზიულ გადახრის შესახებ.

ყრილობამ ასე მოიქცა მთელი ჩვენი საგარეო და საშინაო მდგომარეობის საფუძვლიანი გათვალისწინების შემდეგ მდგომარეობის, რომელიც მეტად მაჩვენებელია საგრძნობი ცხოვრების ყოველ მხრივ და რომელიც აუცილებლად მოითხოვს პარტიის სწორი და გაწონასწორებული პოლიტიკის.

საბჭოთა კავშირის ცნობა მთელი რიგი დიდი და პატარა კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ, ჩვენი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მნიშვნელოვანი აღორძინება, „ტრესტების" პრობლემის მოგვარება, ფულის რეფორმა და მრავალი სხვა, ყველაფერ ამაში აშკარად სჩანს პარტიის უმაღლეს ორგანოს გამოცდილი და მტკიცე ხელი.

ყოველივე ეს კარგად გაიგო არა მარტო ყრილობამ, რომელმაც ერთსულოვნობის და ცეკას გარშემო დარაზმვის იშვიათი დემონსტრაცია, არამედ ეს შეგნებული აქვს ... და მთელ პარტიასთან ერთად ჩვენ მუშათა კლასს. ორასი ათასზე მეტი ახალი წევრის, ნამდვილი მუშის შემოსვლა პარტიაში, რამაც გაამაგრა უკანასკნელის პროლეტარული ხერხემალი, დანარჩენი პროლეტარიატის მჭიდრო შემოკრება პარტიის გარშემო და აქტიური თანამშრომლობა მისდამი, რაც გამოიხატა მუშათა აურიცხველ მისალმებებში ყრილობისადმი,—ამის საუცხოვო დამადასტურებელია.

აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი იყო კომინტერნის სხვა სექციების მისალმებანი და მათ მიერ სწორად აღიარება ჩვენი პარტიის და მის ხელმძღვანელის—ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკის.

ეს მოწმობს კომუნისტური ინტერნაციონალის მთლიანობას, მისი დასავლეთის სექციების მიერ ლენინიზმის საფუძვლების შეთვისებას. ამაში, ეჭვი არ არის, დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს.

ცეკას მოხსენების გამო რეზოლიუციის მიღების შემდეგ, ყრილობამ განიხილა მთელი რიგი უაღრესი მნიშვნელობის საკითხები, რომლებიც წამოაყენა მიმდინარე სინამდვილემ.

მათში ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს სოფლად მუშაობის საკითხს. ჩვენი რესპუბლიკების მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას გლეხობა შეადგენს. არავის ესმის გლეხობის როლი რევოლიუციაში ისე სწორად და ღრმად, როგორც ლენინს და მის პარტიას. გლეხობის მატერიალურ და კულტურულ დონის ამაღლება, საბჭოთა აპარატის კარგად მოწყობა სოფლად, გლეხობის ორგანიზაციული შეკავშირება—ეს სასიცოცხლო საქმეა ჩვენთვის.

პარტია ეხმარება გლეხობას ყოველმხრივ; გზავნის სოფელში სამუშაოდ თავის გამოცდილ წევრებს. მაგრამ ეს ცოტაა. სოფლის აღორძინების საქმეში უნდა იქნან ჩაბმულნი ყველა პატიოსანი, საბჭოთა ხელისუფლების პლატფორმაზე მდგარი, კულტურული ძალები. ამ მხრივ ჩვენ დიდ იმედს ვამყარებთ სოფლის ინტელიგენციაზე—აგრონომზე, ექიმზე, კერძოთ მასწავლებელზე. და ჩვენ სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ მშრომელი ინტელიგენცია გაამართლებს პარტიის იმედებს. ამის დამამტკიცებელია განათლების მუშაკთა გრანდიოზული დემონსტრაცია ყრილობის წინაშე. მათში მოხდა ღრმა გარდატეხა საბჭოთა ხელისუფლების სასარგებლოდ და ისინი ეზიდებიან ჩვენს აღმშენებლობითი მუშაობაში.

თავის მხრივ პარტია ყოველ ღონეს ხმარობს განათლების მუშაკთა, განსაკუთრებით მასწავლებლობის მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ ჩასაყენებლად ცხოვრების და მუშაობის რიგიან პირობებში. ამ მიმართულებით ყრილობამ კიდევაც მისცა პარტიას გადაჭრილი დირექტივები.

გლეხობის საკითხთან მჭიდროდაა დაკავშირებული ჩვენი კოოპერაციის და ვაჭრობის საკითხი.

დღის ერთი უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ განვდევნოთ კერძო ვაჭარი, შუამავალი ვაჭრობის სფეროდან, თანდათანობით დავიპყროთ საბითუმო, საბითუმო-საცალო და წვრილი ვაჭრობა. ამას ჩვენ მივაღწევთ სახელმწიფო ვაჭრობის მიზანშეწონილი ორგანიზაციით და კოოპერაციის გაძლიერებით. ამ მხრივ აღებულია მტკიცე გზა. ყრილობამაც დაადგინა—სახელმწიფო ვაჭრობას და კოოპერაციას მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება.

ყრილობამ განიხილა მრავალი სხვა მნიშვნელოვანი საკითხები—როგორიცაა მუშაობა ახალგაზრდათა შორის, მუშა ქალებში, ჯარში და სხ. და მიიღო მათ შესახებ სათანადო დადგენილებანი.

ყრილობიდან პარტია გამოვიდა უფრო შეკავშირებული, ფოლადისებური ერთიანი ნებისყოფით გამსჭვალული.

ხანგრძლივ ბრძოლაში გამობრძმედილი პარტია, ლენინიზმის ცხოველი იარაღით აღჭურვილი, გაორკეცებული ენერგიით ჩაებმება მუშაობაში, ყრილობის მიერ ერთხმად გამოტანილ დადგენილებათა საფუძველზე

მასსებთან, გამოვიდნენ სულ უკანასკნელ ხანებში ამ ფართო მასსის რიგებიდან და რომელიც ნაწილობრივ ისევ მუშაობენ წარმოების სხვა და სხვა დარგებში. ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში არჩეული არიან თვით გლეხებიც, რომლებიც უშუალოდ ეწევიან გლეხურ მუშაობას სოფლად. ყრილობამ გაამაგრა პარტიის კავშირი კომუნისტურ ახალგაზრდობასთან და შეიყვანა მისი ცეკას წევრები პარტიის ცენტრალურ კომიტეტში და აგრეთვე ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. ახალი, გაერთიანებული, მტკიცე ძალებით, შედუღებული მასსებთან, წინ საბრძოლველად კომუნიზმისათვის,—აი, რას ნიშნავს ჩვენი პარტიის 13-ე ყრილობა.

ახალი ძალებით

„პრავდა"-ს წერილი

მოსკოვი. 1 ივნისი. თავის წერილში სათაურით „[illegible]" „პრავდა" წერს შემდეგს: „ჩვენი პარტიის 13 ყრილობა ჩატარდა უზარმაზარი ცვლილებების [illegible] ქვეყნის და შეიძლება მთელი მსოფლიოს კომუნიზმის ისტორიაში. ყრილობიდან პარტია გამოდის არა მარტო განმტკიცებული შიგნით, არა მარტო დარწმუნებული მის მიერ არჩეული გზის სისწორეში, არამედ გამრავლებული და გაზრდილი. ეს პარტიის ზრდა არის არა მარტო რაოდენობრივი, არამედ თვისებრივიც. პარტიამ გაამაგრა თავისი უმთავრესი ხერხემალი, თავისი პროლეტარიატის საფუძველი. პარტია ფრთხილად მაგრამ ურყევად იკრებს თავის რიგებში საუკეთესო, კომუნისტურად განწყობილ ელემენტებს გლეხობისას. პარტიამ ისე როგორც არასოდეს, განამტკიცა კავშირი მასსებთან. უამრავ მისალმებებში, რომლებიც მიიღო ყრილობამ ფაბრიკებისა და ქარხნების მრავალ დელეგაციებისაგან, ცხადდება მშრომელთა ფართო მასსებთან ეს კავშირი, რომელიც თანდათან იზრდება. ინტელიგენციის ის ფენებიც, რომლებიც რევოლიუციის პირველ წლებში მტრულად იყვნენ განწყობილი საბჭოთა სახელმწიფოს თვით იდეის მიმართ, მოვიდნენ ჩვენთან შეგნებული გადაწყვეტილებით—იმუშაონ პარტიასთან მისი ხელმძღვანელობით. პარტია გაიზარდა შიგნით, გაიზარდა კერძოდ მისი თვითეული წევრი, რომელიც ატარებს მძიმე, უმაგალითო გამოცდილებას საბჭოთა სახელმწიფოს აღმშენებლობის შვიდი წლის განმავლობაში. პარტიამ განამტკიცა, როგორც არასოდეს, კავშირი ძველი ბოლშევიკური გვარდიის პარტიის უფრო ახალგაზრდა თაობასთან...

ცეკას ახალ შემადგენლობაში ჩვენ ვხედავთ ახალ ამხანაგებს, რომელნიც დაკავშირებულნი არიან

გაერთიანებული საკონტროლო კომისიისა და ინსპექციის ზოგიერთ მოვალეობათა შესახებ *)

ფრიად სერიოზული და უაღრესად საპასუხისმგებლო მოვალეობანი დააკისრა ჩვენმა პარტიამ გაძლიერებულ საკონტროლო კომისიას და მ. გ. ინსპექციას. სწორედ ამ სერიოზულობისა და სირთულის გამო ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხ. ლენინმა დაახლოვებით შემდეგი გვირჩია: უკეთესია ცოტა გააკეთო, მაგრამ ეს გაკეთებული კარგი და უდავო უნდა იყოს.

ყოველგვარი სიძნელე, სირთულე და დაბრკოლებანი, რომლებიც აუცილებლათ იქნებიან ამ შემთხვევაში, უნდა იქნან დაძლეულნი და გადალახულნი თანდათანობით, მაგრამ ამასთანავე მტკიცე და ურყევი გადადგმული ნაბიჯებით.

არ უნდა ავჩქარდეთ, დინჯათ, მოფიქრებულათ დავუკვირდეთ და უნდა შევისწავლოთ ჩვენი მუშაობის ყველა მხარეები, ჩავიწვდეთ მისი კუნჭულების შეუმჩნეველ სიღრმეებსაც კი და მაგარი, ულმობელი ხელით მოვსპოთ ყოველგვარი სიმახინჯე იმ წამსვე, როგორც კი იგი შემჩნეული იქნება. ეს უნდა გვახსოვდეს მუდამ ჩვენი მუშაობის დროს, ვინაიდან ასეთია აზრი იმ რჩევა-დარიგებისა, რომელიც ჩვენ მოგვცა შეუდარებელმა ჩვენმა მასწავლებელმა ხსენებული ორგანოების შესახებ.

და რომ პირნათლად და ღირსეულათ შევასრულოთ დიდებული ბელადის ანდერძი, პირველყოვლისა აუცილებელია მჭიდროთ დაკავშირება ჩვენი პარტიული ორგანოებისა დაბალ ფენებთან, უჯრედებთან როგორც ცენტრში ისე პროვინციებში.

საჭიროა რიგიანი და სერიოზული მუშაობის შესრულებისათვის ავამოქმედოთ ჩვენი საუკეთესო ძალები მუშური ელემენტები და საერთოდ ჩავაბათ მუშაობაში მშრომელი მასსა.

რას უნდა მიექცეს უმთავრესი ყურადღება? პირველ ყოვლისა გაძლიერებული საკონტროლო კომისია მთლიანად და აგრეთვე მისი თვითეული წევრი ცალკ-ცალკე ცენტრში მოუხდება მას მუშაობა, თუ ადგილობრივ—ფხიზელ, თვალმოუშორებელ დარაჯათ უნდა ედგეს ჩვენი პარტიის რკინისებურ მთლიანობას. ჩვენი პარტია ლენინის პარტია არის, რომელსაც მთელი თავისი არსებით სძულს და ეჯავრება ყოველგვარი მერყეობა. ეს უნდა გვახსოვდეს ყველას. გარდა ამისა ჩვენი პარტია მმართველი პარტია არის, რომელსაც ისტორიამ დააკისრა სრულიად ახალი, ჯერ არ ნახული სახელმწიფოს მოწყობა. ვაშენებთ ახალ სახელმწიფოს და ამავე დროს ვიგერიებთ პროლეტარიატის მოსისხლე მტრებს, რომლებსაც არ ასვენებს მუშათა კლასის გამარჯვება. და აი ასეთ პირობებში, ასეთი პარტიის მთლიანობის საზიანოთ „ცეცხლთან თამაშის" უფლება არავის არა აქვს.

ეს კარგათ შეიგნო პარტიამ და მან ამ უკანასკნელათ ასი პროცენტით განამტკიცა თავისი რიგები. ამას ამტკიცებს უკანასკნელი კონფერენციები და ყრილობები. და აწი ჩვენი ვალია მთელი ჩვენი ენერგიით და ძალღონით შევებრძოლოთ ყოველივეს, თვით უმნიშვნელოსაც, რაც ოდნავ შეარყევდა ლენინის პარტიის მთლიანობას და ნამდვილ, ჭეშმარიტად ბოლშევიკურ ხაზს.

გარდა ამისა დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პარტიის წევრთა ზნეობრივი მხარის საკითხს. ჩვენი სისპეტაკით და ჭეშმარიტად კომუნისტური ზნე ჩვეულებით, ჩვენი უბრალოებით, (ლენინისებური, მუშური უბრალოებით) ყველგან და ყველაფერში კარგ თვისებათა მაგალითების მიცემით გავლენა უნდა მოვახდინოთ. კიდევ მეტი. უნდა ავლაგმოთ ჩვენი რიგების ერთიც „ნეპის" საზიზღარი მადა, წარყვნილი, ძველი ბურჟუაზიული ზნე ჩვეულებანი და დაწყებულ ვაკხანალიას ბოლო უნდა მოვუღოთ. „ნეპის" ცხვირის ნესტოებიდან მყრალი სუნი ამოდის და ამიტომ ამ ნესტოებს ძალიან მაგარი საცობი ანუ „ტამპონი" ესაჭიროება.

სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ჩვენს რიგებში, სადაც კიდევ ადგილი აქვს უსაქმურ მასლაათს, პარტიის ნებისა და დავალების გარეშე წაღმა-უკუღმა ყიალს, ინტრიგას, ჭორებს, ბუნდოვანი და ორაზროვანი განზრახ გადაკრულ გამოკრული სიტყვებით მოწოდებულ ცნობებს როგორც პრესაში ისე პრესის გარეთ, ყოველგვარ მერყეობისა და მეშჩანურ, წვრილ ბურჟუაზიულ ზნე ჩვეულებებს, ფუფუნებას, ლოთობას და სხვა. მე არ ვამბობ და არცა მაქვს საბუთი ვსთქვა, რომ ყოველივე ეს განვითარებული იყოს ჩვენს რიგებში. არა, ეს არ არის და არც შეიძლება იგი იყოს ჩვენს პარტიაში. კერძოთ რაც შეეხება ლოთობას, მენშევიზმს ამ ლოთობასა და „კამპანიებში" აღმოხდა სული. ჩხიკვიშვილებმა დიდი უნარი გამოიჩინეს ამ დარგში, მაგრამ მადლობა ღმერთს ამ ავაზაკებთან ჩვენ საერთო არაფერი გვაქვს. მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩვენ აქაც თვალყური უნდა ვადევნოთ და შევებრძოლოთ იმდენათ, რამდენათაც ხსენებული სენი სადმე თავს იჩენს. გვახსოვდეს, რომ არც ერთი პარტიისათვის ყველა წუთში სიფხიზლე არასოდეს არ ყოფილა ისე საჭირო და აუცილებელი როგორც ჩვენი პარტიისათვის.

ლენინის პარტიის წევრი პირველ ყოვლისა უნდა იყოს ნამდვილი კომუნისტი, რომელიც თავის თავს ნაკლებათ ეკუთვნის; მან მუდამ მაღლა უნდა ეჭიროს ბრძოლის წითელი დროშა, მან ყოველთვის უნდა აღფრთოვანებდეს ფოლადისებური სიმტკიცე და რწმენა, იგი საკუთარი გულწრფელობითა და სპეტაკი მხარეებით უნდა აჯადოებდეს და ხიბლავდეს იმ წრეს, სადაც მას მუშაობა უხდება. ის უნდა იყოს შეუპოვარი, დაუნდობელი და ულმობელი მუშათა კლასის მოსისხლე მტრებისა და მშრომელი მასსის მოღალატეების მიმართ. გვახსოვდეს ყოველთვის ჩვენგანს რანი ვართ, ვინა ვართ და მაშინ ნაკლებათ შევცდებით, და თუ შევცდებით ადვილათ გამოვასწორებთ ჩვენს შეცდომებს და დავსძლევთ ყოველგვარ დაბრკოლებებს.

მე შეგნებულად არ შევჩერდები აქ განსაკუთრებით ჩვენი სახელმწიფო აპარატების გაუმჯობესებისა და მისი მ. გ. ნაკლოვანებების საკითხზე. ნათელი და აშკარაა ყველასათვის, რომ აქ გაერთიანებულმა საკონტროლო ორგანომ უნდა გადმოიტანოს მთელი მუშაობის სიმძიმე, გახადოს ეს მუშაობა უფრო ნაყოფიერი და თვალსაჩინო მშრომელ მასსასთან მჭიდროთ დაკავშირების საშუალებით, მაგრამ არა აჩქარებით და სულმოუთქმელათ, არამედ მოფიქრებულათ, მიზანში ამოღებული ობიექტის წინასწარ ყოველმხრივ გაცნობითა და შესწავლით. „ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერი" მაგრამ გაჭერი ისე, რომ გამრთელება არც საჭირო დარჩეს და აღარც შესაძლებელი.

ერთ-ერთ ჩვენს უმთავრეს მიზანს შეადგენს აგრეთვე ბიუროკრატიზმთან ბრძოლა და საბჭოთა აპარატებიდან არა სასურველი ელემენტების განდევნა. ხსენებული ელემენტების მაგიერ ჩვენ განთავისუფლებულ ადგილებზე უნდა დავაყენოთ კომუნისტები, და პატიოსანი უპარტიო მშრომელი ელემენტები.

აუცილებლათ უნდა შემცირდეს ზედმეტი, გადაჭარბებული და არა აუცილებლობით გამოწვეული გრძელ-გრძელი და ხშირი ინფორმაციული ხასიათის მოხსენებების წერა, ზედმეტი ანკეტები და სხვა. ამ შემთხვევაში დიდ ჭირვებას მძიმე ტვირთად აწვება მუშაკებს, რომლებსაც ხელი ეშლებათ ნაყოფიერი აღმშენებლობითი მუშაობის წარმოებაში.

ერთი სიტყვით ნაკლები ქაღალდი, ნაკლები მელანი, ნაკლები „კანცელარიზმი", ნაკლები სიტყვა და ყველა ამათ მაგიერ საქმე... საქმე ჩუმი და ნაყოფიერი.

შემოვკრბეთ გაერთიანებული საკონტროლო კომისიისა და მ. | გ. ინსპექციის გარშემო და დავეხმაროთ მას დაკისრებული დიადი მისიის შესრულებაში.

ა. ლოლაძე.

---

*) ჩვენ ეს წერილი დაწერილი გვქონდა, როცა „კომუნისტი"-ს პირველი ივნისის № 124 ში წავიკითხეთ წერილი, დ. კ.-ს ინიციალებით ხელმოწერილი, საკონტროლო კომისიისა და ინსპექციის შესახებ. რა თქმა უნდა იქ გამოთქმული აზრები სავსებით მისაღებია ჩვენთვისაც.

ა. ლ—ძე.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

მოხდა შეთანხმება საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის.

იაპონიის გაზეთები მოითხოვენ საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობას

ამხ. რაკოვსკი და ინგლისის ვაჭრობის მინისტრი არჩეულნი არიან საბჭოთა კავშირის და ინგლისის სავაჭრო პალატის თავმჯდომარეებათ.

შეთანხმება ჩინეთთან

შეთანხმება საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის

პეკინი. 31 მაისი. დღეს დილის 11 საათზე საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ორივე სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის მმართველობის შესახებ. ჩინეთის მხრივ შეთანხმებას ხელი მოაწერა საგარეო საქმეთა მინისტრმა ველინგტონ-კუმ, საბჭოთა კავშირის სახელით—კარახანმა.

შეთანხმებაზე ხელის მოწერას წინ უძღოდა მოლაპარაკება რამოდენიმე დღის განმავლობაში დადგენილება შეთანხმების შესახებ საიდუმლოთ ინახებოდა. შეთანხმება ხელმოწერილი იქნა ველინგტონ-კუს კერძო ბინაზე. შეთანხმება საიდუმლოთ ინახებოდა იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალათ საფრანგეთისათვის ჩარევაში და შეთანხმების ჩაშლაში. ცნობა შეთანხმების შესახებ გამოქვეყნდა მხოლოდ შეთანხმებაზე ხელის მოწერის შემდეგ.

იმპერიალისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ

პეკინი. 31 ივნისი. როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. კარახანმა ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთში ჩვენს წინააღმდეგ მუშაობდა თითქმის მთელი დიპლომატიური კორპუსი სხვადასხვა ქვეყნის თითქმის ყველა წარმომადგენლებს ჩვენს წინააღმდეგ ერთიანი იმპერიალისტური ფრონტი ჰქონდა შექმნილი. შეთანხმებისათვის ხელის შეშლის ცდებმა ცხადყვეს, რომ იმპერიალისტები ძლიერი არიან და ისინი ჯერ ვერაფერს დააკლებენ საბჭოთა კავშირს.

უკანასკნელ ხანებში უცხოეთის სახელმწიფოთა წარმომადგენლების ზეგავლენა ჩინეთზე შესუსტდა. უცხოეთის დიპლომატები სრულიად არ მოელოდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა დაიწყებს მოლაპარაკებას ჩინეთთან, სანამ იაპონიასთან მოლაპარაკება არ დამთავრებულა.

მოვლენების ბრძოლის წარმოება შეთანხმების ცხოვრებაში გატარების [illegible], ვინაიდან ჩვენი ჩინეთთან შეთანხმების მოწინააღმდეგეები შეეცდებიან ხელის შეშლას, თუმცა ჩინეთი ჯერ კიდევ სუსტია, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად ის შესძლებს იმპერიალისტებისათვის წინააღმდეგობის გაწევას.

მოგერიებული შემოტევა

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 1 ივნისი. (როსტა). ამხანაგი სტეკლოვი წერილში „მოგერიებული შეტევა" სწერს: „საბჭოთა კავშირს და ჩინეთის რესპუბლიკას შორის შეთანხმება მაინც ხელმოწერილია. იმპერიალისტების შემოტევა მოგერიებულია მათთვის დიდი დანაკლისით. მართალია, ისინი ემუქრებოდნენ ჩინეთს და აშინებდნენ მას. ჩინეთის ხალხი, რომელიც იძულებული ხდებოდა ებრძოლა იმპერიალიზმის მიერ მისი ტერიტორიის დაპყრობის წინააღმდეგ, ხედავს საბჭოთა კავშირში ერთად ერთ ძალას, რომელსაც შეუძლია მისთვის დახმარების გაწევა და ამავე დროს რომელსაც შეუძლია დაიცვას თავისი ეროვნული ინტერესების დაცვას საქმეში.

საბჭოთა კავშირის და ჩინეთს შორის შეთანხმებას, გარდა თავისი პირდაპირი შედეგებისა, აქვს მომავლისათვის მნიშვნელობა უფრო მეტი მნიშვნელობა, ვიდრე აწმყოსათვის. საბჭოთა კავშირის მეგობრობა ჩინეთის რესპუბლიკასთან არის საწინდარი აზიის მშვიდობიანად და უმტკივნეულო განვითარებისა. ამავე დროს ეს ამზადებს ნიადაგს მსოფლიო იმპერიალიზმის მტაცებლურ პოლიტიკის თვალსაჩინო მოგერიებისათვის".

ურთიერთობა იაპონიასთან

ჩქარობენ საბჭოთა კავშირთან შეთანხმებას.

ვლადივოსტოკი. 1 ივნისი. იაპონიის გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიის მთავრობა ჩქარობს საბჭოთა კავშირთან ხელშეკრულება დადოს კიოურის კაბინეტის გადადგომამდე. მოხსენებაში, რომელიც გადაეცა კატოს პალატაში, აღნიშნულია, რომ საჭიროა საბჭოთა კავშირის დაუყოვნებლივ ცნობა.

იაპონიის სამხედრო სარდლობა სახალინის დაცლის მომხრეა.

ვლადივოსტოკი. 1 ივნისი. იაპონიის გენერალური შტაბის უფროსის თანაშემწემ, ტაკეუჩიმ განაცხადა, რომ სამხედრო სარდლობა მომხრე არის სახალინის დაცლის, მაგრამ თუ მოლაპარაკება ამის შესახებ ორ თვეს გაგრძელდება, მაშინ კლიმატიური პირობების გამო სახალინიდან ჯარების გაყვანა ამ ზაფხულში არ მოხერხდება.

დამოკიდებულება ინგლისთან

ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატა.

ლონდონი. 31 მაისი. რაკოვსკი და ინგლისის ვაჭრობის მინისტრი არჩეული არიან ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის საპატიო თავმჯდომარეებათ. პალატის აღმასკომში არჩეული არიან ორი წარმომადგენელი არკოსიდან და ერთი—არკოსის ბანკიდან; მთელ რიგ სახელმწიფო ტრესტების წარმომადგენლები არჩეული არიან პალატის წევრებათ. რაკოვსკი ამუშავებს საკითხს პალატისათვის უპირატესობათა მინიჭების შესახებ. აღმასკომის წევრებათ არჩეული არიან „ცენტროსოიუზის", „დინაკცენტრის", სავაჭრო წარმომადგენლობის, ჩრდილოეთის ტყის სამმართველოს და ნავთის სინდიკატის წარმომადგენლები.

სწორი!

ლონდონი. 31 მაისი. ინგლისის მიერ საბჭოთა კავშირის იურიდიულათ ცნობის გამო, უზენაესმა სასამართლომ რუსეთის სანაოსნო საზოგადოების „როპიტ"-ს პარიზში უარი უთხრა გემი „სუპერიორ"-ის დაბრუნებაზე. გემის კაპიტანმა გემი გადასცა საბჭოთა კავშირს.

[illegible]

ლონდონი. 31 მაისი. „მორნინგ პოსტ"-ი გაფიცვებით ილაშქრებს

საბჭოთა კავშირი და ჩინეთი

ტელეგრამებიდან ვტყობილობთ დღის ფრიად მნიშვნელოვან ამბავს. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმების ტექსტს, ამ ორი ქვეყნის შორის დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენისა და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის შესახებ. როგორია ეს შეთანხმება კერძოთ ამ რკინის გზის საკითხში, რომლის ირგვლივ სწარმოებდა იმპერიალისტების ბრძოლა, ჯერ ჯერობით არ არის ცნობილი. მაგრამ თავისთავათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ამ საკითხის მოგვარებას ჩინეთთან შეთანხმებით და საზოგადოთ ჩვენ სამხრეთ-აღმოსავლეთ მეზობლად მრავალ ას მილიონიან მეზობელ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენას.

როგორც მკითხველებს ახსოვთ, ამ შეთანხმებისათვის ხელი უნდა მოეწერათ უკვე აპრილში, მაგრამ საფრანგეთის, ამერიკის, იაპონიისა და ინგლისის ჩარევის გამო, რომლებიც წინააღმდეგი იყვნენ მისი, ეს საქმე ჩაიშალა. მიუხედავათ იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი გარკვევით გადახრილი იყო ამ შეთანხმების სასარგებლოთ და თვით მთავრობის წრეებში მას ჰყავდა მომხრეები, მთავრობა მაინც შეშინდა და დათმობაზე წავიდა უცხოელი იმპერიალისტების მიმართ.

მას შემდეგ მუშაობა ამ ძალებისა არ შეწყვეტილა. საფრანგეთის—რომელიც უმთავრესი ინიციატორი იყო მოლაპარაკების ჩაშლის—პრესა აც ხედავდა სულ უკანასკნელ ხანებამდი, რომ მიუხედავათ საბჭოების „პირველი შემოტევის" მოგერიებისა, ჩინეთი (ე. ი. იმპერიალისტების ინტერესები ჩინეთში) საფრთხეშია ჩავარდნილი და საჭიროა ენერგიული ცდებით ვადევნოთ თვალყური, კარახანის „ინტრიგებს" პეკინში. თავისთავათ ცხადია, რომ ჩინეთის მთავრობა რამოდენიმეჯერ იყო გაფრთხილებული ამის შესახებ, მას ემუქრებოდნენ ყველა საშუალებით იმ შემთხვევაში, თუ ის სულს დაჰყვება [illegible] იმპერიალისტების წინააღმდეგ და ურჩობას გაუწევდა მათ. მიუხედავათ ამისა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარახანთან ერთად ჩაატარა ეს „ინტრიგა" და ორივემ მიაღწია ეს შეთანხმებას ამ დიდ მნიშვნელოვან საკითხებში.

ეს არის დამარცხება არა მარტო საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის. აქ დამარცხებული არიან ყველა ისინი, რომლებიც ერთად, მწყობრათ გამოვიდნენ ჩინეთის წინააღმდეგ, რომლისაც ჩვენ კავშირთან ერთად, ის აპირებდა შეთანხმებაზე ხელის მოწერას.

ეჭვი არ არის იმაში, რომ მეხრიოპე, რომელიც ხუთ თვეს ამ დიდ ქვეყანას დასუსტდა, საკმაოდ მოიშალა მას შემდეგ, რაც 11 მაისის არჩევნებმა გადასწყვიტეს ბედი პუანკარეს მთავრობისა საფრანგეთში.

ეს ფაქტი, შეთანხმება ჩინეთთან, მაჩვენებელია არა მარტო იმპერიალისტების აშკარა დამარცხებისა მათი ფრონტის ერთ ერთ მნიშვნელოვან ადგილზე. აღსანიშნავია ის, რომ ეს ამბავი გამოაფხიზლებს ზოგიერთ კაბინეტებს ევროპაში და მის გარეთ. ეგრეთ იაპონიაშიც მისი გავლენა საგრძნობი ხდება. დღევანდელი ტელეგრამებიდან აშკარაა ეს. იქ უფრო ხმამაღლა ლაპარაკობენ შეთანხმების შესახებ საბჭოთა კავშირთან, ლაპარაკობენ სახალინის დაცლაზე. თუ ვიცით იაპონელების [illegible], რომ მემამულეების პარტია და მისი ინტერესების გამომსახველი რეაქციონური მთავრობა დამარცხდა იაპონიაში ამ ორი კვირის წინეთ საპარლამენტო არჩევნების დროს და გაიმარჯვა ოპოზიციამ, რომელიც მომხრეა ჩვენთან შეთანხმების—ეს ხმები შეგვიძლია მივიღოთ სინამდვილის გამომხატველათ და ამდენათ მაჩვენებელი ისევ იმპერიალისტების ფრონტის შერყევისა

ჩვენ შეგვიძლია ძალა ვცადოთ

X

პრესა

გვმართებს სიფხიზლე და ყურადღება

როგორც ცნობილია, ბრძოლა კერძო სავაჭრო კაპიტალთან გამოცხადებულია მიმდინარე მომენტის დამახასიათებელ ამოცანად. ამ მიზნით და საზოგადოთ შინაური ვაჭრობის მოსაწყობათ მუშებისა და გლეხების, საერთოთ მუშურ გლეხური სახელმწიფოს სასარგებლოთ, დაარსებულია უკანასკნელ ხანებში სპეციალური კომისარიატი, რომლისადაც ადვილია (რასაკვირველია, შედარებით) ბრძოლა მსხვილ საბითუმო კაპიტალთან, იმ ღონით ძნელია ამ ბრძოლის წარმოება წვრილ საბითუმო ვაჭრებთან. სახელმწიფო მრეწველობა ხელმძღვანელი სახელმწიფოებრივი და პარტიული ორგანოების კარნახით უარს ეტყვის (და უთხრა კიდევაც) მსხვილ მებითუმე ვაჭარს და არ ჩაუგდებს მას ხელში უამრავ საქონელს (მისი ნება სურვილისამებრ გასანაწილებლათ), არა მარტო ნისიათ, რასაც სამწუხაროთ ადგილი ჰქონდა ხოლმე ხშირათ დღემდე, არამედ, რამდენათაც ამის საშუალება იქნება, თვით ნაღდათ მყიდველსაც. მრეწველობისათვის, რომელსაც ხშირათ თანხები აკლია, ეს ადვილი საქმე არ არის, მაგრამ სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი ხასიათის მოსაზრების გამო, ეს აუცილებელია და ჩვენი მრეწველობაც დაემორჩილება ასეთ თუ ისეთ შემთხვევაში ამ აუცილებლობას.

ვიმეორებთ შედარებით ამნაირი ბრძოლა შესაძლებელია.

უფრო ძნელია, როგორც ვსთქვით წვრილ მებითუმე ვაჭრებთან ეს ბრძოლა, სწორედ იმიტომ, რომ ის „წვრილია" და ისეთ ფორმებში შეუძლია გამოიჩინოს, რომ ძნელი იქნება გაარჩევა თუ ვისთან გვაქვს საქმე. საჭიროა ამიტომ სიფხიზლე და ყურადღება იმ ორგანოების მხრივ, რომლებიც მოწოდებული არიან ამ დარგში მუშაობისთვის.

ერთ ასეთ „საქმეს" მეგზლიანი მიიქცევს სამართლიანათ ჩვენს ყურადღებას გაზ. „ზარია ვოსტოკა". საქმე ეხება ავტორის შედეგში.

ინვალიდების კოოპერაცია შედგება ფართოდ ცნობილი წვრილი ვაჭრების შეკავშირებისგან, რომლებიც მიიღებენ საქონელს ცნობილ საფეიქრო სინდიკატიდან ამ კოოპერაციის საშუალებით და აი „ზარია ვოსტოკა"-ს თანამშრომელი კითხულობს: „რა დამოკიდებულება აქვს სავაჭრო ფუნქციებთან—საზოგადოთ და წვრილ საბითუმო ვაჭრობასთან—კერძოთ დაჭრილ დასახიჩრებულთა ორგანიზაციას?

„სოციალური უზრუნველყოფის კლიენტები—სწორეთ ისინი, რომელთაც მოსპობილი აქვთ, იმპერიალისტური და სამოქალაქო ომის გამო, შრომის უნარი და პირადათ თვითეული მათგანი ატარებს ბეჭედს კაპიტალისტური საზოგადოების საშინელებათა, ყველა ისინი, რასაკვირველია ღირსი არიან სრული საზოგადოებრივი ყურადღებისა და დახმარების. ხელი უნდა შევუწყოთ მათ მიერ დაწყებულ ყოველ საქმეს, რომლის მიზანია ურთიერთ დახმარება: საზოგადოებრივი ქველმოქმედება ცდილობს ამ დახმარებას, სახელმწიფო აძლევს მათ მთელ რიგ უპირატესობას. ჩვენ შევეჩვიეთ ამას. და ამ დროს ვტყობილობთ, რომ დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირი არის ყველაზე უფრო მდიდარი ვაჭარი თბილისში, მას აქვს თითქმის ოცამდე მაღაზია და, დასასრულ [illegible] 300 წვრილ მაღაზია-ქტურის ვაჭართა შემაკავშირებლის როლში.. რაშია საქმე?."

და ავტორი, ასე ვსთქვათ, იქვე „ზინის ფურცლებს", ამბობს აშკარათ:

„საბუთი გვაქვს საფრთხის, რომ ჩვენ მიერ დღევანდელ შეხედულებით გადასვა თავისი უნარისა და გამოცდილების სამუშაო ხარისხით და საშუალება დაჭრილ დასახიჩრებულთა კოოპერაციისათვის, რომელსაც სახელმწიფო აძლევს უპირატესობას და საზოგადოება უწყობს ხელს". (ხ. ზ. ავტორისაა).

ჩვენ არ ვიცით ჯერ კიდევ რა ცნობებზეა დამყარებული ავტორის აზრი, მაგრამ ობიექტიურათ ეს შესაძლებელია.

კერძო ვაჭრების სახით ჩვენ საქმე გვაქვს გამოქნილ და „გამომწვარ" „ხალხთან". არც ერთი „ეჭვიანი" არ გამოიჩენა მათ, რომ გაძვრენ იქ და მოიფუთნენ, თუ ამაზე „ხეირს" ხედავენ. შესაძლებელია (ჩვენ ვამბობთ, შესაძლებელია), რომ მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ამ შემთხვევაშიც.

სრულ სამართლიანს შეიცავს ავტორის აზრი, რომ დაჭრილ დასახიჩრებულთა ორგანიზაცია, ე. ი. ორგანიზაცია იმათი, რომლებიც მსხვერპლი შეიქმნენ ბურჟუაზიული ველურობისა და კაცის მოძმის და ატარებენ ბეჭედს იმპერიალისტური ომის საშინელებათა—რომ ეს ორგანიზაცია ღირსია ჩვენი თანაგრძნობისა და დახმარების. ვიტყვით მეტს, ამ დაჭრილ-დასახიჩრებულთა საერთაშორისო ორგანიზაცია არის დღეს ერთ-ერთ რევოლიუციონური ფაქტორთაგანი და მის საერთაშორისო კონგრესებს არა ერთხელ აღუნიშნავთ თავიანთი მხურვალე თანაგრძნობა, როგორც ეს სრულიად ბუნებრივია, ჩვენი კომინტერნისათვის მისი სასტიკი ბრძოლის გამო იმპერიალისტური ომისა და საზოგადოთ კაპიტალიზმის წინააღმდეგ. მაგრამ ეს გარემოება ხელს ვერ შეგვიშლის ჩვენ სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადოთ ამ კავშირის ამა თუ იმ წევრების, ამა თუ იმ ცალკე ორგანიზაციის ისეთ „გადახრას" (თუ მას ნამდვილათ ექნება ადგილი), რომელიც ხელს შეუშლის რევოლიუციონური ხელისუფლების ზომების გატარებას და ავნებს მის პოლიტიკას და ჩვენ გამოვსთქვამთ რწმენას, რომ უმრავლესობა დაჭრილ დასახიჩრებულთა კავშირისა თვით იქნება მსგავს შემთხვევებში ამ ხელისუფლების დამხმარე, როგორც მთავრობა არის კავშირის და მასზე შესაძლებლობის ფარგლებში.

საბჭოთა ლიტერატურის წინააღმდეგ ამ კარიკატურის გამო, რომელიც მოთავსებულია გაზ. „პრავდა"-ში; ეს კარიკატურა გამოხატავს მაკდონალდს, მეფე გიორგის და ლორდ ქერზონს, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულნი მიდიან ერთად. გაზეთი ყურადღებას აქცევს იმას, რომ გაზეთის ეს ნომერი იყიდება ლონდონში.

ინგლისის მეცნიერი საბჭოთა კავშირის კულტურულ მიღწევების შესახებ.

ლენინგრადი. 31 მაისი. ამ ჟამად ლენინგრადში მყოფმა ინგლისელმა მეცნიერმა—პარლამენტის წევრმა—ვილიამ კონვეიმ, რომელიც გაეცნო საბჭოთა კავშირის მუშაობას კულტურის დარგში და სიძველეთა დაცვის საქმეში, აღნიშნა ის დიდი კულტურული მუშაობა, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა კავშირში, და განაცხადა, რომ მას განზრახვა აქვს გამოსცეს წიგნი საბჭოთა კავშირის კულტურული მიღწევების შესახებ.

შტრეზემანის წინააღმდეგ

სახელმწიფო ჯგუფთა სამმართველოს მუშაკების პროტესტი.

მოსკოვი 2 ივნისი. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ჯგუფთა სამმართველოს მუშაკების და სამეცნიერო მოღვაწეთა საერთო კრებამ პროტესტი განაცხადა გერმანიის მთავრობის პოლიციის აგენტების მიერ საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლობაზე თავდასხმის წინააღმდეგ. კრებამ დაადგინა მიმართოს გერმანიის მეცნიერებს, ინტელიგენციას, მუშებს და გლეხებს მოწოდებით პროტესტი განაცხადონ თავისი მთავრობის პოლიტიკური ხაზის წინააღმდეგ; ეს მთავრობა ნადგავს [illegible] კონფლიქტებს და ამით არის გამოლაშქრებული ორ ერთი ქვეყნის შორის დამყარებულ კულტურულ და ეკონომიურ კავშირის წინააღმდეგ.

პროტესტს ხელს აწერენ პროფესორები: კალინნიკოვი, ნიკიტინი, კოგანი, გრასმანი და სხვები.

იმპერიალისტების წინააღმდეგ

ირაკში დაიწყო აჯანყება ინგლისელების წინააღმდეგ.

სირიაში ხალხმა დაიწყო აჯანყება საფრანგეთის წინააღმდეგ.

მთელ ალბანეთში აჯანყება იტალიის წინააღმდეგ.

აჯანყება ირაკში

სტამბოლი. 1 ივნისი. ოსმალეთის ცნობით, მდგომარეობა ირაკში რთულდება. ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც ჯარში იმყოფებიან, აჯანყდნენ ინგლისელ სარდლობს. აჯანყებულებთან შეტაკების დროს მოკლულია 100 ინგლისელი ჯარისკაცი.

აჯანყება ალბანეთში

რომი. 2 ივნისი. „ტრიბუნა"-ის ცნობით, მდგომარეობა ალბანეთში კრიტიკული ხდება. იტალიის სამხედრო გემები მზად არიან ალბანეთისაკენ წასასვლელად. აჯანყებულებმა [illegible] და ადგილობრივმა ჯარებმა დაიკავეს კოლომი. აჯანყება სწრაფად ვრცელდება; ყოველ საათში მოელიან შეტევას ტირანზე.

„ნიუ იორკ ტაიმს"-ი იტყობინება: [illegible] დაიწყებენ ტირანზე შეტევას, რევოლუციონერმა ჯარებმა მოითხოვეს „ბეის" [illegible] მთავრობის გადადგომა ახმედ ზოგუს (პრემიერი) მეთაურობით, სხვადასხვა განკარგულება, ყველა ჯარების კონცენტრაცია ტირანში, ახალი მთავრობის შედგენა სხვადასხვა პარტიებისაგან, რომლებიც სარგებლობენ მოსახლეობის ნდობით. ახმედ ზოგუმ პასუხი გასცა ამ მოთხოვნილებებს გადადგომით, რის შემდეგ აჯანყებულებმა გასცეს ბრძანება ტირანზე გალაშქრების შესახებ. რომში არსებულ ალბანეთის მისიის ცნობის თანახმად, ალბანეთში გამოცხადებულია სამხედრო წესები.

ახალი აჯანყება სირიაში

მოითხოვენ ანტიოხიის ავტონომიას.

სტამბოლი. 1 ივნისი. სირიაში გამის რაიონში მოხდა გლეხების ახალი აჯანყება. აჯანყებულები იარაღის ხელში ჩაგდების შემდეგ ჩასაფრდნენ მთებში.

ანტიოხიაში იმართება საფრანგეთის სამხედრო საბჭოს სხდომები, რომლებზედაც არჩევა შექმნილი მდგომარეობა. ოსმალეთის მთავრობამ მოამზადა ახალი საპროტესტო ნოტა, რომელშიაც აღნიშნული ცნობებია მოყვანილი იმის შესახებ, თუ როგორი ძალადობას მიმართავენ ფრანგები სირიის ოსმალების მიმართ. ნოტა მოითხოვს ანტიოხიის და ალექსანდრეტას ავტონომიის დაუყოვნებლივ გამოცხადებას.

ახალი ომის წინ

იტალია ჯარებს აგროვებს ოსმალეთის წინააღმდეგ.

იტალიის ჯარი გროვდება კუნძულ როდოსზე.

ოსმალეთის პრესა აღშფოთებულია იტალიის მიერ ჯარების მობილიზაციის გამოცხადებით.

იტალია ჯარებს აგროვებს ოსმალეთის წინააღმდეგ.

სტამბოლი, 1 ივნისი. ანგორის დეპეშათა სააგენტო ოფიციალურად იუწყება, რომ იტალიის მთავრობამ როდოსში სამი პოლკი გაგზავნა და მთავარსარდლად მეფის ნათესავი დანიშნა.

„ვატანის" სიტყვით, ამ ცნობამ ძლიერ მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ანგორის მთავრობის წრეებში. მაგრამ, ამბობს გაზეთი, ოსმალეთი დარწმუნებულია თავის ძლიერებაში და დამშვიდებით მოელის მოვლენათა განვითარებას.

ოსმალეთის გაზეთები ერთხმად ამბობენ, რომ იტალია არ ეწყობს სმირნის რაიონს.

„ტევჰიდ" იტალიის პოლიტიკას უწოდებს თვალთმაქცურს, ცბიერს. გაზეთი აღნიშნავს, რომ იტალიას სურს მოულოდნელად დაესხას თავს ოსმალეთს, ისე, როგორც ტრიპოლის ომის დროს.

„ხუკუმეთი"-ს არ სჯერა, რომ იტალია ამზადებდეს მოულოდნელ თავდასხმას. გაზეთი ფიქრობს, რომ იტალია საბერძნეთის წინააღმდეგ ემზადება.

„აქშამ"-ი ამტკიცებს, რომ რომი მუდამ აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა ოსმალეთის მიმართ. გაზეთი ურჩევს იტალიას თუ მას სურს თავისი მეგობრობის მოყვარეობა დაამტკიცოს, დააბრუნოს ოსმალეთს კასტელორიზო.

„ტანინ"-ის სიტყვით, ოსმალეთის მდგომარეობა ახლა გართულებულია ინგლისელებთან მოლაპარაკებით, ფრანგებთან დამოკიდებულების გამწვავებით სამხრეთ საზღვრების გამო, საბერძნეთთან გაუთავებელი დავა-ჩხუბით. იტალიის ჯარების კონცენტრაცია და აგრეთვე ხმები ინგლისის იტალიის დახმარების შესახებ, ძნელ მდგომარეობაში აყენებენ ოსმალეთს.

გაზეთი „ხაკიმიეთი მილიე" სწერს, ოსმალეთი არ დააყოვნებს ზომების მიღებას და მოვლენების განმარტებას. იტალიის ჯარების თავის მოყრა კუნძულ როდოსზე არის დემონსტრაცია მხოლოდ ოსმალეთის წინააღმდეგ, თუმცა ოსმალეთმა არ იცის ამ დემონსტრაციის მიზეზი.

„ილერი" ფიქრობს, რომ დემონსტრაცია მოაწყვეს ინგლისელებმა, რომლებსაც იტალიელების საშუალებით სურთ გავლენა მოახდინონ მოლაპარაკებაზე მოსულში.

„ვაკიტ"-ი ფიქრობს, რომ იტალიას ჯარები არ ეყოფა ოსმალეთთან ომისთვის.

იტალიის ნოტა სკოლების გახსნის შესახებ.

სტამბოლი, 1 ივნ. იტალიის მთავრობამ მიმართა ოსმალეთის მთავრობას ახალი ნოტით, რომლითაც მოითხოვს იტალიური სკოლების გახსნას ოსმალეთში.

ოსმალეთის მთავრობამ გადაწყვიტა პასუხი არ გასცეს ნოტას, რადგანაც ის ყოველგვარ დიპლომატიურ ნაბიჯს სკოლების საკითხში [illegible] ოსმალეთის შინაურ საქმეებში ჩარევათ თვლის.

რა ხდება საფრანგეთში

პუანკარე და მისი კაბინეტი გადადგა

ერიოს მთავრობა პროგრამაში შეიტანს საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღდგენას

მილიერანს არ სურს გადადგომა

პუანკარეს გადადგომა.

ლონდონი. 1 ივნისი. დღეს დილით პუანკარემ პრეზიდენტ მილიერანს გადასცა განცხადება თავისი და კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ერიოს პროგრამა.

ლონდონი. 1 ივნისი. გაზ. „მატენის" ცნობით, ერიოს მომავალი მთავრობის პროგრამაში შეიტანება საყოველთაო ამნისტია, ფრანკის კურსის განმტკიცება, საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების აღდგენა.

საკითხი პრეზიდენტის შესახებ.

პარიზი. 1 ივნისი, რესპუბლიკანელ სოციალისტ დეპუტატების უკანასკნელ კრებაზე წამოყენებული იქნა მთელი რიგი სიტყვისა მილერანის წინააღმდეგ. დეპუტატთა პალატის გახსნამდე რესპუბლიკის პრეზიდენტის საკითხი დასმული იქნება მემარცხენე ბლოკის კრებაზე.

„მატენ" აღნიშნავს, რომ მილერანი დასტოვებს ელისეის სასახლეს მხოლოდ ორთავე პალატის გარკვეული ვოტუმის შემდეგ. მილერანს ესაყვედურებიან იმაში, რომ ის პირად პოლიტიკას აწარმოებდა.

ლონდონი. 1 ივნისი. „დეილი მეილ"-ის პარიზელი კორესპონდენტის ცნობით, ამ ჟამად საფრანგეთში პოლიტიკური კრიზისი მწვავე ხასიათს იღებს. ორივე პარტიამ, რომელთაც უმრავლესობა ჰქონდათ ახალ დეპუტატთა პალატაში მიიღო გადაწყვეტილი რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს პრეზიდენტ მილერანის გადადგომას. ვინაიდან საფრანგეთის კონსტიტუციის მიხედვით რესპუბლიკის პრეზიდენტის შეცვლა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ღალატისათვის, სოციალისტებს და რადიკალ-სოციალისტებს განზრახული აქვთ პასიური წინააღმდეგობის გზით აიძულონ მილერანი გადადგეს. ამ პარტიების გეგმა ასეთია: უმრავლესობის ლიდერები არ მიიღებენ პრეზიდენტის წინადადებას კაბინეტის შედგენის შესახებ. თუ პრეზიდენტი სხვა რომელიმე პარტიების ლიდერებს დაავალებს კაბინეტის შედგენას, ასეთი კაბინეტი პირველ კენჭის ყრის დროსვე დამარცხებული იქნება უმრავლესობის მიერ.

ერიო და სოციალისტები.

ლონდონი. 1 მაისი. რადიკალური პარტიის კრებაზე ერიომ განაცხადა, რომ მოსთხოვს სოციალისტებს ან მთავრობაში შესვლას ან ხმის დაპირებას მის მთავრობისათვის გარკვეული პროგრამის ნიადაგზე წინააღმდეგ შემთხვევაში ერიო უარს იტყვის მთავრობის შედგენაზე.

მილერანს არ სურს გადადგომა.

პარიზი. 31 მაისი. გაზეთების ცნობით, მილერანს, თუ მას მემარცხენე პარტიების მეთაურებმა ბოიკოტი გამოუცხადეს, განზრახვა აქვს მოწოდებით მიმართოს სენატს და დეპუტატთა პალატას.

სინატორმა დე მონზიმ განაცხადა, რომ პოლიტიკური პარტიების მეთაურები მილერანისაგან სამინისტრო პორტფელის მიღებაზე უარის თქმით, მილერანის გადადგომის გამოწვევის ნორმალურ საშუალებას წარმოადგენენ.

მემარცხენე ბლოკის გამარჯვება.

პარიზი. 31 მაისი. ერიოს და პენლევეს მონაწილეობით შესდგა დამოუკიდებელ სოციალისტების და სოციალისტ რესპუბლიკანელების თათბირი, რომელმაც დაადგინა მიიღოს მონაწილეობა მემარცხენე ბლოკის შემადგენელ პარტიების თათბირში და დაემორჩილოს ბლოკის უკანასკნელ დადგენილებებს.

თვითონ არ იციან რა სურთ.

პარიზი, 31 მაისი. რადიკალების მეთაურთა განცხადებები თავისი მომავალი პოლიტიკური ხაზის შესახებ ბუნდოვანი და გაურკვეველია. სოციალისტური პარტიის სენას დეპარტამენტის ორგანიზაცია საბჭოთა კავშირთან დამოკიდებულების საკითხში კმაყოფილდება მხოლოდ მოთხოვნილებით, რომ მომავალმა მთავრობამ მოამზადოს ნიადაგი საბჭოთა კავშირთან ნორმალური დამოკიდებულების აღსადგენად. რადიკალები, რომლებიც დაინტერესებული არიან ფრანკის კურსის დაცვით, ბრალს დებენ მემარცხენე ბლოკს პანიკის გამოწვევაში.

რუმინეთის ამბები

სამხედრო კრიზისი საშიშ ფორმებს იღებს.

დაიწყო გლეხთა მღელვარება.

აფეთქდა 40 მილიონი ყუმბარა.

ცნობა ბუქარესტში მომხდარ აფეთქების შესახებ.

ბერლინი 2 ივნისი. რუმინეთის სამხედრო სამინისტრომ ოფიციალურად განაცხადა, რომ ბუქარესტში მომხდარ აფეთქებისაგან განადგურებული სამხედრო მარაგი, წარმოადგენს რუმინეთის მთელი სამხედრო მარაგის უმნიშვნელო ნაწილს.

სამხედრო კრიზისი.

ვენა. 3 ივნისი. სამხედრო კრიზისი რუმინეთში საშიშ ფორმებს იღებს. მრავალი სამხედრო ფირმა გაკოტრდა. რუმინეთის ვალუტა განაგრძობს დაცემას.

გლეხები მიწას მოითხოვენ.

ვენა. 31 მაისი. სიმიგრადის სოფლებში დაიწყო გლეხების მღელვარება. გლეხები მოითხოვენ მიწის საკითხის მოწესრიგებას.

ნამდვილ მიზეზს დამალავენ.

სტამბოლი. 1 ივნისი. ოსმალეთის პრესა ფიქრობს, რომ ოფიციალური დეპეშებში ბუქარესტიდან მიღებულ ცნობას თითქო აფეთქება მოაწყვეს კომუნისტებმა, გაზეთებში მოთავსებულია ცნობები აფეთქების ნამდვილი მიზეზების შესახებ.

ოსმალეთი და რუმინეთი.

სტამბოლი. 1 ივნისი რუმინეთის ელჩმა სტამბოლში ოფიციალურად განაცხადა, რომ ბრატიანომ საბოლოოთ თქვა უარი ოსმალეთში გამგზავრებაზე იმ აურზაურის გამო, რომელიც გაზეთებმა გამართეს ამ გამგზავრების გარშემო.

დამატებითი ცნობები ბუქარესტში მომხდარ აფეთქების შესახებ.

ვენა. 31 მაისი. ბუქარესტის ახლო მომხდარ აფეთქების დროს თავზარდაცემული მოსახლეობა იერიშით იღებდა რკინის გზის სადგურებს. მდიდრები ავტომობილებით გარბოდნენ. აფეთქდა 40 მილიონი ყუმბარა და უამრავი დინამიტი. განადგურდა: მთავარი სამონტაჟო დეპო 14 მილიონით, რუმინეთის არმიის სასურსათო საწყობი. ჩეხეთიდან ჩამოტანილ თოფის იარაღით დატვირთული 25 ვაგონი, 150 ვაგონი ამუნიცია, რომელიც მოკლე ხნის წინ ჩამოტანილი იყო საფრანგეთიდან, [illegible] სარკინიგზო და სანაპირო რაზმების ყაზარმები ძლიერ დაზიანდა, კადეტთა სკოლა მიდამოები მთლიანად გადაიწვა.

პრემიერმა, სამხედრო მინისტრმა მთავარმა ინტენდანტმა და სამხედრო საწყობის უფროსმა მოხსენება გაუგზავნეს მეფეს ზარალის შესახებ. დაჭრილია 6 კაცი, მათ შორის 3 სამხედრო პირი და ერთი ქალი.

აფეთქების შესაძლებელ მიზეზად სთვლიან სამხედრო მასალის დამზადებისას ჩადენილ ბოროტმოქმედებათა დაფარვის სურვილს. ოპოზიცია მთავრობას სდებს ბრალს იმაში, რომ სამხედრო საწყობები მან მოათავსა შუაგულ ქალაქში. ოპოზიცია მოითხოვს საპარლამენტო გამოძიებას.

ბუქარესტის პრესის აზრით კატასტროფის მნიშვნელობა უფრო წინაგრძნობა ომის შემდეგებს, რადგან განადგურებულია არმიისათვის საჭირო სამხედრო მასალა—იარაღის 40 პროც. გაზეთების ანგარიშით ზარალის რაოდენობა აღემატება იმ კრედიტების რაოდენობას, რომლებსაც რუმინეთი ეძებდა საზღვარგარეთ.

თავის ოფიციალურ განცხადებაში მთავრობა [illegible]. ოფიციალური ცნობით მოკლულია 4 კაცი და დაჭრილია—20. მთავრობა აცხადებს, აგრეთვე, რომ აფეთქებული საწყობი ერთ-ერთია მრავალ სხვა სამხედრო საწყობებს შორის.

დნესტრის ნაპირზე.

ოდესა 2 ივნისი. კიშინიოვიდან მოსული ლტოლვილები იუწყებიან, რომ ბესარაბიიდან, დნესტრის მონაპირე ადგილებიდან,—რუსი მოსახლეობას მასიურად ასახლებენ. მოსაზღვრე სოფლებში აკრძალულია ცეცხლის ანთება საღამოობით სანაპირო რაზმები და პოლიცია გაძლიერებულია სპეციალურ სამხედრო ნაწილებით.

მდგომარეობა გერმანიაში

მთავრობის კრიზისი გრძელდება.

მთავრობის შედგენას დაავალებენ გერგტს

რურში განახლდა მუშაობა.

მთავრობის კრიზისი

ბერლინი 1 ივნისი. მთავრობის კრიზისი ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი. გერმანიის სახალხო პარტიის წარმომადგენელმა შოლცმა მიმართა პრეზიდენტ ებერტს წინადადებით: დაავალოს კაბინეტის შედგენა გერგტს.

ნდობის გამოცხადება შტრეზემანისათვის.

ბერლინი. 1 ივნისი. გერმანიის სახალხო პარტიის ფრაქციამ შაბათს ერთხმად სხდომაზე გამოუცხადა ნდობა შტრეზემანს. სამხედრო წესების [illegible].

პარიზი 1 ივნისი. მაინცში ყოფილ მეომართა საზოგადოებამ იდღესასწაულა თავისი ორგანიზაციების არსებობის 50 წლის თავი. დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს პრინც რუპრეხტმა, კლუკმა და სხვებმა.

გენერალმა რიტტერმა განაცხადა, რომ როგორც კი დაჰკრავს სამშობლოს განთავისუფლების საათი, მეომრები იარაღს ისევ ხელში აიღებენ, როგორც ეს წინად ჰქონდათ.

მუშაობის განახლება.

პარიზი. 1 ივნისი რურის მაღაროებში მუშაობა განახლდება ორშაბათიდან.

ბერლინი. 1 ივნისი. ესსენიდან ატყობინებენ, რომ სამთო-მადნო მუშების უმრავლესობამ დაიწყო მუშაობა. კამპანია კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი 2 ივნისი სახალხო პარტიის, ნაციონალისტების და ცენტრის პრესა მოითხოვს, რომ დეპუტატების ხელშეუხებლობა ჩამორთმეულ იქნეს კომუნისტებს.

„დოიჩე ცაიტუნგ" მოითხოვს ყველა კომუნისტ დეპუტატების დაპატიმრებას და დასჯას, რომ მღელვარებას ამ ნიადაგზე მთავრობამ ბოლო უნდა მოუღოს შეიარაღებული ძალით, თუკიდე ამის გამო სისხლიც დაიღვაროს.

სახალხო პარტიის დეპუტატი „ვაიტი" სწერს: „პოლიციის [illegible] არ [illegible], რომლებიც [illegible] მათ როგორც [illegible] შეუძლებელია კომუნისტების მიმართ [illegible] პარლამენტის ჩვეულებრივი [illegible] სარგებლობა გერმანიის ხალხი,—ათავებს [illegible] გერმანიის მთავრობა მიიღებს ზომებს კომუნისტური ძალების საბოლოოდ მოსასპობად".

ინგლისის „მუშათა მთავრობის" უკანასკნელი დღეები

[illegible]

ლონდონი, 31 მაისი. საერთო აზრით, მაკდონალდის მთავრობის დღეები დათვლილია.

ლიბერალურ პარტიის ძლიერი და შესამჩნევად გაზრდილი ნაწილი ლოიდ-ჯორჯის თაოსნობით, რომელსაც მიზნად აქვს მუშათა მთავრობის ჩამოგდება, ფიქრობს, რომ მთავრობამ საკმაოდ გაიტეხა სახელი მუშათა მასის თვალში, რის გამო შესაძლებლად სთვლის ახალ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას.

ლიბერალურ პარტიის მეორე, უფრო მარცხენა, მაგრამ მცირე უფრო სუსტი ნაწილი ასკვიტის მეთაურობით ფიქრობს, რომ მუშათა მთავრობის ჩამოგდება ჯერჯერობით ნაადრევი იქნებოდა და ამასთან შიშობს, რომ ლიბერალური პარტია საბოლოოთ ჩაეყლაპება კონსერვატორებთან კოალიციაში.

მუშათა მთავრობის უფრო გაბედული კლასობრივი პოლიტიკა უეჭველად გააძლიერებს ლოიდ-ჯორჯის ჯგუფის გავლენას ასკვიტის წინააღმდეგ.

პროლეტარულ რევოლუციის „გაგედული" ბოიკოტი გაზეთ „ქართულ სიტყვაში" და ჟურნალ „კავკასიონში"*)

5. „კავკასიონის" შექება გომართელის მიერ № 2

„ქართულ სიტყვის" № 27—თავსდება გომართელის ვრცელი წერილი სათაურით „კავკასიონი № 3-4".

— „ვიღებ ცალკე „კავკასიონის" მე 2 წიგნს და გული ჰხარობს, ლექსებს მივყურებ შორს, შორს, ჩემი თავი ევროპაში მგონია" ამბობს კრიტიკოსი და [illegible]: წარსული, შორეული წარსული დრო. როდესაც ის ევროპელთან და [illegible] ერთად საქართველოს საქმეებს მართავდა.

როდესაც აქ მეფობდა „დემოკრატია" და ევროპისკენ კარები ხსნილი იყო... როდესაც „ჯეელდა ყოველდღე" და ჯილდო 17 წლის გიმნაზიელ კოხტა ქალისგან სწავლობდა დღიურების წერას როდესაც.. ეს! . ხოდა აგონდება ყოველივე ეს ჩვენს კრიტიკოს—იღებს რა ჟურნალ „კავკასიონს" ხელთ ჩვენ სრულებით ვეთანხმებით მას—რომ ეს შეიძლოდა.. ძლიან ძნელი საფიქრელია მართლაც რომ „კავკასიონი"—კომუნისტური დიქტატურის დროს გამოდიოდეს. და როგორ არ უნდა შეაქოს გომართელმა ყველა ისინი—ვინც მას ასეთ ბედნიერ წუთებს აძლევინებს და უბედნიერეს ოცნებებში ხვევს?!. და აი ასეც იწყებს მეორეთ:

ა. [illegible]—„ქარი სარკეში"—„დიდებული ოცნებაა, რწმენით გაშუქებული და ლამაზად და მოხდენილად ჩამოსხმული".

ვ. [illegible]—„დაუჯერელი ვერხვი ზემო იმერეთისა, ცეცხლიანი ხშირად მოქნილი ნაზად მეოცნებე, თოჯა, ენა—მახვილი.

გრ. რობაქიძე—„ლონდა"—„ჩვენს მწერლობაში უეჭველად ახალი სიტყვა, ჩვენს სასცენო ხელოვნებაში ახალი ძიება".

კ. გამსახურდია,—ლექსი „ქრისტე პარიზში"—„ორიგინალური ლექსია, როგორც თვისი შინაარსით, ისევე ფორმით".

[illegible]—„სიზმრები"—„ტკბილი [illegible]".

[illegible]—„რ[illegible]ები"—დაბლ წილია, დაწმენდილი ტკბილი მუსიკით, მჟღერი რითმით.

გრ. რუხაძე—„ნოემბრის ქარი"—სევდიანი განცდაა...

და ასე სულ.. ისევე როგორც [illegible]..

იცით რას გირჩევთ მოქალაქენო „ქართულ სიტყვიდან" და „კავკასიონიდან"—ასეთი „პოლიტიკას". ნუ შეურცხვენთ საბოლოოდ თქვენს სახელს ქართველ მწერლებისა, თორემ „პოლიტიკას" მალე დაკარგავთ და მწერლის სახელი კი შეიძლება კიდევ გამოგადგეთ..

6. ერთიანი ფრონტი: „საქართველო", „ერთობა" და „სახალხო გაზეთი" პლიუს ყანწელები (ზოგიერთი).

ივ. გომართელი მარტო არ რჩება. ძველი ფედერალიზმის ერთი ბელადთაგანი ან ჩ. ჯავახიშვილი—„ქართულ სიტყვის" ერთ-ერთ ნომერში, აგრეთვე ხოტბას ასხამს „კავკასიონს" და კერძოთ მის რედაქტორ პ. ინგოროყვას. იგი სწერს: „რედაქტორმა პავლე ინგოროყვამ უდიდესი საძნელე სძლია და ჟურნალს როგორც გარეგნულად ისე შინაარსით ისეთი სახე მისცა, რომელიც გამოცემას ქართული ხელოვნების დღესასწაულად ხდის.—რედაქტორი ცდილა ჟურნალში სრული ლიტერატურული ობიექტობა დაიცვა ჩვენის აზრით სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო სწორედ ასეთი შეიძლება იყოს. ჩვენის აზრითაც პ. ინგოროყვას სწორედ დიდი მადლობა ეკუთვნის—მათ მიერ, რომლებიც აზიარებენ მის ხაზ; „კავკასიონის" რედაქტორმა შესძლო თავის ჟურნალში, ისე როგორც გაზეთმა „ქართულ სიტყვამ"—ერთიან ფრონტის შექმნა ყველა მათი, რომელთა უდიდესი ნაწილი რევოლუციის ან აშკარა მტერია, ან და უკეთეს შემთხვევაში—„სულ-ერთიანობის" და „ეჭვებზე მყოფიანობის" „ფილოსოფიით" შესცქერის მას.. ყოველ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად—აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ მხედველობაში არა გვყავს ისინი, რომლებთაც თანამშრომლობა „კავკასიონში" და „ქართულ სიტყვაში" მხოლოდ შემთხვევითია, რომლებიც ასე ვთქვათ სტუმრობენ იქ ხანდახან. რომლებიც ალბათ საბჭოთა ანგარიშს არ უწევენ იმ მთავარ ხაზს, რომლითაც [illegible] „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა" [illegible] ამ ჟურნალ-გაზეთის უმთავრეს დასაყრდენს ჯგუფს ლიტერატურულ ნაწილში? უმრავლეს შემთხვევაში ის პოეტები და მწერლები რომლებიც თავის დროზე იკვებებოდნენ: გაზეთ „ერთობა", „საქართველოს", „სახალხოს" გარშემო ვ. რუხაძე, [illegible], ს. თავაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ფაშალიშვილი, ს. აბაშიძე, ინგოროყვა, კოტეტიშვილი, ჯავახიშვილი, გომართელი და სხვები—გარკვეული ხაზის მქონენი არიან—და ეს ხაზი არა მარტო ხელოვნებაში, ასე ვსთქვათ წმინდა ლიტერატურაში იჩენს თავს, არამედ იგი პოლიტიკურ-საზოგადოებრივ საკითხებშიც — საკმაოდ გარკვეულია. მიუმატეთ მათ გრ. რობაქიძე, ელენე დარიანი, მარიჯან და სხ.

თუ რა ღირებულების არიან ყველა ესენი—ეს სხვა საკითხია: ფაქტი კი ის არის რომ „კავკასიონმა" და „ქართულმა სიტყვამ" ჩვენთვის ძველადვე ნაცნობი პირები ნაცნობ პოლიტიკურად გარკვეულ ხაზის მქონე გაზეთებიდან: „ერთობა" „საქართველო" „სახალხო"—შეკრიბეს და შეაგროვეს ერთ სამოქმედო ჯგუფში, ერთ სამოქმედო ხაზზე; ერთი საერთო მიმართულებით: როგორიმე და რითიმე—მდგომარეობის და მიხედვით რევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლა...

7. „ლაშქრობა არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ ანუ „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა" „პოლიტიკის გარეშე"

— ჟურნალი არის წმინდა სამეცნიერო და სალიტერატურო. აქ არა აქვს ადგილი არც ვიწრო ჯგუფურ მაძღრობას, არც პოლიტიკას...—ასე სწერს გომართელი „კავკასიონის" შესახებ. ასე სწერენ „ქართული სიტყვის" შესახებაც... ჩვენ კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავს ხშირად „პოლიტიკის გარეშე" დგომა. ისიც კარგად ვიცით, თუ როგორი ძლიან სრულ, ძლიან ფართო საზღვრები აქვს პოლიტიკას საერთოდ—როგორი ფარავს მის თავისუფლად თუ გინდ უბრალო საკითხებიც ჩვენი ყოველდღიურ ცხოვრებისა.

ვიცით ყოველივე ეს და ვამბობთ: ამ „პოლიტიკის გარეშე დგომაში" იფარება ნამდვილი პოლიტიკა... მთელი კომპლექტი „ქართული სიტყვისა" და ჟურნალ „კავკასიონის" ოთხი ნომერი—აშკარად მოწმობენ ამას. უმრავლეს შემთხვევაში ეს შინაარსი მოხერხებულად არის დაფარული რაიმე უმნიშვნელო და უბრალო სამოსით: ქართული ენის, თეატრის, გამომცემლობის საკითხებით ხანდისხან ლექსის ფორმით, უცხოეთის ლიტერატურიდან შესაფერ ნაწარმოებთა თარგმნით წერილების ტონით და სხვა. ხანდისხან კი ეს ყველასათვის გასაგებ სიტყვებითაც ითქმის: რამდენიმე ნიმუში:

გრ. რუხაძე—„ერის წინ ბრძოლის სარკე უნდა მიიმართოს, რომ მისი სახე მთლიანად გამოჩნდეს. ეს არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო. დღეს [illegible] ქალაქში [illegible]. პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი [illegible] ქვეყანას. [illegible] არის მოცული" („ქართული სიტყვა" № 9).

გრ. რუხაძე გარკვეული პოლიტიკური ფიზიონომიის პატრონია და გარკვეულადვე სწერს. ბალეთ მისი ლექსი „მაისის გულში":

თვლებს ფრთებით [illegible]
მაისის გულში,—
[illegible]
და ზეცის შორიდან,
[illegible]
რაც იყო გულში!
(„ქართული სიტყვა" № 24).

ტუშიშვილის ლექსი: „ტირანი სარკმლიდან" (ჩვენი საუკუნე).

„ჩემო საუკუნე,
ერთგული მე შენ;
შენგან მოქარგულ—
ვიცი ეს თავიდან
და აჰა ბოლო კი.
[illegible] თუ ავიტან
სიკვდილ ლი მღლოკე,—
ჩემს სახლის კუთხეებშიც
ადარ მაქვს ალაგი..
რა ვქნა ამ ცუდ ღამეს.
კიდევ ამავე ლექსიდან:
რა არის სახლი?
ტიხრის ვერ გვიყურე!
გადავქრეთ ცქერადა,
შევ ცნოთ ტყუილ ყოფა.
(„ქართული სიტყვა" № 18)

ძალიან ფრთხილი და გამოცდილი გომართელიც ვერ იკავებს „საყვარელ" სიტყვებს ენაზე და სწერს:

— თუ გავითვალისწინებთ ნებით მრავალ დაბრკოლებებს: საზოგადოებრივს, პოლიტიკურს, მატერიალურს ფსიქოლოგიურს და სხვ. რასაკვირველია, ლაპარაკია აქ ჩვენი დღევანდელ მდგომარეობის შესახებ, რომელიც, თურმე, პოლიტიკურ, საზოგადოებრივ და ფსიქოლოგიურ დაბრკოლებებს უქმნის ჟურნალ „კავკასიონს" ა ხვა.

[illegible] შიუკაშვილის შედარებით სრულიად უბრალო წერილი „თეატრის გარშემო"—გაზეთ „ქართულ სიტყვიდან". აი რას სწერს: „1920 წ. კვლავ დაიბადა თეატრის საქმე—დაარსდა პირველად ქართული სახელმწიფო დრამა. ვისაც ახსოვს ამ სეზონის ნახვანი ([illegible]) იცის, რომ ეს იყო არა ჩვეულებრივი ბრწყინვალე დასაწყისი ქართული თეატრის ისტორიაში. მაშინდა გადმტრიალდება.. დაიწყო არა მარტო თეატრი—უკვდავები!!" და სხვა.

იგივე ავტორი: წერილიდან „კულტურული ხიდები" (№ 27-ქ ს.) „თავ და ვანებით დაწესებულებების მიწერ-მოწერას, რომელიც ენის მხრივ ანეკდოტიურ ხასიათს ღებულობს. „[illegible] უნდა იყოს"—[illegible] არ იყოს..

და აქვე რადით როგორი შეამიან სიტყვებს სწერს: „იქნება ეს არც უნდა იყოს". (ქართულ ენის დამახინჯების შესახებ ვ. ბ.)

„ქართულ სიტყვის" მე 21 ნომერში მიხ. ბოჭორიშვილი შემდეგს სწერს:—„არას დროს არ ყოფილა ისეთი მძიმე პირობები ახალგაზრდა მწერალთათვის, როგორათაც დღეს". განა ეს მართალია? განა ესეც უკბილო კრიტიკა არ არის?—

ეს პირველ შეხედვით უმნიშვნელო ფაქტები მხოლოდ გარეგნულ ილუსტრაციაა იმ ხაზის და იმ მიმართულების, რომლითაც მიდის მწერალთა კავშირის საბჭოს ჟურნალი და გაზეთი. არც ერთი სიტყვა რევოლუციის სასარგებლოთ: არამც თუ სასარგებლოთ—არც ერთი სიტყვა საერთოდ მასზე—თუ კი უარყოფითი არ იქნება (ე. ი. სიტყვა) „ვირეპის მესიის" ავტორი ერთი ლექსით—წინააღმდეგი არ დამქაშდება.

პროლეტარულ რუსეთის ბოიკოტი. დასკვნა

ოქტომბრის რევოლუციის მიერ გამოწვეულ პოლიტიკურ და ეკონომიურ გადატრიალებას—ნელა, მაგრამ მაინც ღირსშესანიშნავი ნაბიჯებით თან მოყვება გადატრიალება კულტურის—ლიტერატურა ხელოვნების ფრონტზე. რევოლუცია რუსეთში დღეს უკვე გამარჯვებულა ხელოვნებაშიც. მნიშვნელოვანი მიღწევები მაინც არის... ახალი სიტყვა უკვე თქმულია აქ. როგორ ხვდება ამას „კავკასიონი" და „ქართული სიტყვა"? ჩვენ განგებ გადავათვალიერეთ „ქართულ სიტყვის" ამ წლის ყველა ნომრები; გადავიკითხეთ გულდასმით „კავკასიონის" ოთხივე ნომერი და, თუმცა ეს წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია: არც ერთი სიტყვა რუსეთის ლიტერატურის შესახებ, არც ერთი კრიტიკის დაბეჭდა ქრონიკაშიც, თითქოს რუსეთი ხიდლაც ჩაინთქა, თითქოს რუსეთის ლიტერატურა ხავსებით მოისპო.. დღევანდელი თავი რევოლუციამ!! არ უყვარს „კავკასიონს" და „ქართულ სიტყვას" რევოლუცია—რას იზამთ.. მაგრამ—ნუ თუ რუსეთში დღეს არ მოიპოვება არც ერთი ლიტერატურა-ხელოვნების ცხოვრებიდან — რომ ღირსი შეიქნეს თუ გინდ ქრონიკაში მოთავსების?! როგორც „კავკასიონს" ისე „ქართულ სიტყვას" ძალიან მდიდარი ქრონიკა აქვთ—ევროპის კულტურის ცხოვრებიდან. ამ ქრონიკაში შეხვდებით ხშირად ასეთ ვრცელ ცნობებს:—„დ'ანუნციო მონასტერში" „[illegible] არქეოლოგები ასირიაში", „ნეაპოლის უნივერსიტეტის 700 წლის თავი" და სხვა—რუსეთის ცხოვრებიდან კი არც ერთი სიტყვა, არც ერთი ცნობა.. რა არის ეს? რით უნდა ავხსნათ ეს ამბავი? რევოლუციისადმი [illegible] და [illegible] განაზმით.

